ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2867276

ნომერი: AR1442385

თარიღი : 23.09.2016

გაცემის თარიღი : 30.09.2016

გაცნობის თარიღი : 03.10.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იოსებიძის , N 49 , (ნაკვ.17/1) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქუთათელის (ყოფ.შჩორსის) , N3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა სამსონია პ/ნ 01019041054
- ჩიტაიას 40

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "ფასადი", რომელიც აძლევს თანხმობას შპს "გამომცემლობა პალიტრა ლ"-ს, არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობასთან დაკავშირებით. აქვე განგიმარტავთ, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად შპს "გამომცემლობა პალიტრა ლ"-ის იჯარის ფართს წარმოადგენს არსებული შენობის მე-4 სართულზე მდებარე ფართი 61.9 კვ.მ. ხოლო ამჟამად წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო სამუშაოები ხორციელდება ეზოს ტერიტორიაზე შპს "ფასადი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე. აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შპს "ფასადი"-ს მიერ გაცემული თანხმობა უშუალოთ საპროექტო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების თაობაზე.
- "მოთხოვნია ტექსტში" მითითებულია, რომ ხდება არსებული სარეკლამო აბრების რეკონსტრუქცია, ნაწილი რეკლამების დამატება და ჯიხურის ფასადის რეკონსტრუქცია, რაც ფოტომონტაჟით წარმოდგენილი არ არის (ამჟამად წარმოდგენილი ფოტომონტაჟით ხდება ,ხოლოდ არსებული ცალკე მდგომი სარეკლამო აბრების განახლება და არსებულ ღობეზე არქიტექტურული ელემენტების შეღებვა. აქედან გამომდინარე საჭიროა "მოთხოვნის შინაარსის ტექსტ" და ფოტომონტაჟ მოიყვანოთ ურთიერთშესაბამისობაში.
- საკადასტრო გეგმაზე დატანილ იქნას საპროექტო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოები ზუსტი განთავსების ადგილები. ასევე გაითვალისწინეთ, რომ თუ ჯიხური საკადასტრო გეგმაზე დატანილი არ არის მისი რეკონსტრუქციის თაობაზე სამსახური თანხმობას ვერ გასცემს.
- "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს ველში აიტვირთოს მხოლოდ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.